„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №9 (298) 27 სექტემბერი, პარასკევი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

2 ოქტომბერი აღგილობრივი არჩევნების დღეა
დავუბრუნოთ ფოთს საქართველოს საზღვაო კარიბჭის, ისტორული ქალაქის-ფაზისის ფუნქცია

ფოთს სჭირდება რეალური თვითმმართველობა, ისეთი, როგორიც დიდი ნიკო ნიკოლაძის დროს იყო

ულმობელი საქმის კაცი საქართველოს ტრანსკონტინენტურ მისიაზე ფიქრობდა



„ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში.

...ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა...

ვაჭრობა ერთის მხრივ ევროპასა და მეორეს მხრივ საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის ფოთს შექმნის ერთ უდიდეს და უმდიდრეს სავაჭრო ქალაქად. იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც.

მე-2-გვ

გახსოვდეთ!

ქალაქი და ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი უნდა იყოს!

დიდი ტვირთია მერობა ნიკო ნიკოლაძის ქალაქში, გააგრძელეთ ნიკო ნიკოლაძის კონცეფცია-ქალაქი-ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი უნდა იყოს. იშრომეთ, რათა ახდეს ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის ოცნება - „ფოთი აჯობებს მაშინ ოდესასაც". მაქსიმალურად გამოიყენეთ ფოთის სტრატეგიული პრიორიტეტები, განავითარეთ საზღვაო დარგები, რომლის დიდი ტრადიციები ქონდა ამ პატარა ქალაქს -საოკეანო თევზ-რეწვა, გემთმშენებლობა, რემონტი და ა.შ.

ფოთის მერობის კანდიდატები:

41

პარტია „ქართული ოცნება"- **ბექა ვაჭარაძე**

25

პარტია „საქართველოსთვის"- **გიორგი აბსარიძე**

5

პარტია „ნაციონალური მოძრაობა" - **გიგი უგულავა**

პარტია ბევრია, თავისი პროგრამებით და კონცეფციებით, თუმცა,- ქვეყანა ერთია თავისი გასაჭირითა და სატკივარით. გავერთიანდეთ ქვეყნისა და ქალაქის წინსვლისათვის, უნდა დამთავრდეს ერთპარტიულობა - ყველა პარტიაში არიან ნიჭიერი ადამიანები, უბედურება კი ისაა, ერთ პარტიას უნდა მეფობა. ჩვენ გვჭირდება მრავალპარტიული პარლამენტი, მრავალპარტიული საკრებულოები, კოალიციური, შეთანხმებული მართვით და არა მტრობითა და დაპირისპირებით.

სანამდე-ორად გაყოფილი, ყველა პარამეტრით დაპირისპირებული ქვეყანა?!...

30 წელი, სულ შეცდომებზე ვიარეთ, იქნებ, ახლა მაინც გავაკეთოთ სწორი არჩევანი

ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ახალი, დემოკრატიული ძალები - პატრიოტები, პროფესიონალები

„ოცნებამ" 8 წლიანი მმართველობის პერიოდში ბევრი შეცდომა დაუშვა, ადამიანები სიღატაკის ზღვარზე ტოვებენ ქვეყანას, თუმცა, ეს, არ ნიშნავს ნეოფაშისტების - „ნაცების" დაბრუნებას, რასაც ქართველი ხალხი არ დაუშვებს, თანაც, „ნაციონალებისა" და „ოცნების" პარტიული დაპირისპირება და მტყუან-მართლის გარჩევა უნდა დამთავრდეს.

ქალაქი არჩევნებიდან-არჩევნებამდე

გაკეთებული საქმეები და კვლავ გადაუწყვეტი ფოთის მარადიული პრობლემები - ზღვის ნაპირდაცვა, წყალსადენ-კანალიზაციის სისტემა და საზღვაო სანაპირო ინფრასტრუქტურა



ნიკო ნიკოლაძე - 175

ულმობელი საქმის კაცი საქართველოს ტრასკონტინენტურ მისიაზე ფიქრობდა



დიდი გზა მოამაგისა

ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 9 ოქტომბერს.

1860წ.- დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია.

1861წ.- შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1866წ.- შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი ,,მთავრობა და ახალი თაობა".

1868წ.-ჟენევაში ლ.მეჩნიკოვთან ერთად დააარსა ჟურნალი ,,სოვრემენოსტი". ამავე წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები". (ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა ჟენევაში.)

1870 წელს - დაბრუნდა ქუთაისში.

1871 წ.- სათავეში ჩაუდგა ჟურნალ ,,კრებულს".

1872-73 წ.-იმყოფებოდა პარიზში ტყიბულის ქვანახშირის საქმეების მოსაგვარებლად.

1873 წ. - სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა გაზეთ ,,დროებასა" და ჟურნალ ,,კრებულში".

1878წ.-გამოსცემდა გაზეთ ,,ობზორს".

1880 წ.-გადაასახლეს სტავროპოლში.

1881წ.-სტავროპოლიდან გადავიდა პეტერბურგში. აქტიურად მონაწილეობდა ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებაში.

1886წ. - ხელმძღვანელობდა მეორე დასს.

1887-91 წ. -თბილისში რედაქტორობდა გაზეთ ,,ნოვოე ობოზრენიე"-ს და თანამშრომლობდა ჟურნალ ,,მუამბეში".

1894-1912წწ.- არჩეულ იყო ფოთის ქალაქის თავად.

1920წ. საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების მეთაური.

1924წ. - დაბრუნდა საქართველოში, დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული მწერლობის განვითარებაში.

1928წ. -გარდაიცვალა. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

ნიკო ნიკოლაძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და რომელიც თერგდალეულთა სახელწოდებითაა ცნობილი. ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მან ბევრი გააკეთა ქართული საზოგადოებრივი, ეკონომიკური აზროვნების, ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

იურიდიულ მეცნიერებათა პირველი ქართველი დოქტორი, ბრწყინვალე ეკონომისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, საგანთა და მოვლენათა ღრმა ცოდნით იკვლევდა ეკონომიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, იურისპრუდენციის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, პედაგოგიკის, ისტორიის, პოლიტიკის და ეროვნულ საზოგადოებრივი მოძრაობის საკითხებს.

ეროვნულ-სამეცნიერო და სამწერლო შემოქმედებასთან ერთად ნიკო ნიკოლაძე იყო დიდი პრაქტიკოსი საზოგადოებრივი მოღვაწე. მისი ინტერესებისა და საქმიანობის სფეროში შედიოდა დიდი, საქვეყნო საქმეები-ელექტროფიკაცია, ქალაქშენებლობა, რკინიგზების გზატკეცილების, ხიდების, ნავსადგურების მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მელიორაცია-ირიგაციის საკითხები და საგამომცემლო საქმე; შეიმუშავა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი მდინარეთა სანაოსნოდ გამოყენების, ტრანსკავკასიის და ტრანსკონტინენტური რკინიგზების, ნავთობსადენების გაყვანის შესახებ და სხვა მრავალი. ყველას აოცებდა მისი დაკვირვების დიდი უნარი და ღრმა ცოდნა იმ საკითხებისა, რომლის შესრულებასაც იგი მიზნად ისახავდა.

დიდი მამულიშვილი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა ყოველგვარ ანტიეროვნულ გამოხდომას. იგი შეუპოვრად ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარ ცენზურას და სასამართლოს, შოვინისტ გადამთიელებს და ერის მოღალატე, გადაგვარებულ ქართველებს.

ნიკო ნიკოლაძე თავისი დიდი განათლებით, კულტურით, პრაქტიკული საქმეებით, მამულის დიდი სიყვარულით, სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ჭკვიანი კაცის ეტალონად. მისი სიცოცხლის 85 წლიდან 65 წელი თავდადებულად, უანგაროდ ემსახურა სამშობლოს, მშობელ ხალხს და დიდად წაადგმევინა ფეხი წინ პროგრესის გზაზე.

ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა, 1928 წელს, ერის დიდ მოჭირნახულეს, მთაწმინდაზე დაუმკვიდრა სასუფეველი თავის უკეთეს შვილთა გვერდით.

დიდი ნიკო დღესაც ჩვენს გვერდით დგას თავისი დიდი ნააზრევით, შემოქმედებით, დიდი პრაქტიკული საქმეებით და გვასწავლის მამულის სიყვარულს და მსახურებას, გვასწავლის, რომ ,,ყოველი ერი ვალდებულია, სანამ შეუძლიათ, იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასაცავად, შესანახავად".

,,სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინმემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცდებით"

ფოთის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები სახელმწიფო დაფინანსებით 1901 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ,,სამუშაოს ახორციელებდა ,,ბუნგე-პალაშევსკის" ფირმა და 1905 წლის დასაწყისში დამთავრდა. ამავე წლის 15 მარტს ოფიციალურად გაიხსნა ნავსადგურის ახალი შემოსასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან. 1907 წელს კი დამთავრდა ჯერ კიდევ 1898 წელს ქალაქის თვითმმართველობის სახსრებით დაწყებული ნავსადგურის კეთილმოწყობისა და ახალი გემმისადგომების სამშენებლო სამუშაოები.ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე 1863 წლიდან 1907 წლამდე დაიხარჯა 16 მილიონი მანეთი, აქედან 10 მილიონი გაიღო სახელმწიფომ, დანარჩენი 6 მილიონი კი - ქალაქმა თავისი სხვადასხვა შემოსავლებიდან.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ნავსადგურის მექანიკური მოწყობაც. ამ საქმეში მთავარი როლი ითამაშა მექანიკურად ჩატვირთულ ყოველ ფუთზე დაწესებულმა გადასახადმა 1 კაპიკის ოდენობით, რათა ხუთი წლის განმავლობაში დაფარულიყო გაწეული ხარჯი. ეს გადასახადი მარგანეცის ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი იყო, რადგანაც, მცირდებოდა გემების მოცდენები. დატვირთვა-გადმოტვირთვა უფრო ნაკლებ დროში ხერხდებოდა, ამდენად, 1904 წლის მარტში მარგანეცის მრეწველთა საბჭომ განიხილა საგანგებო ყრილობაზე ფოთის თვითმმართველობის პროექტი, ჩამტვირთავი მოწყობილობების შეძენასა და ერთი ფუთი ტვირთიდან ერთი კაპიკის ტარიფის დაწესების შსახებ (ადრე ნახევარი კაპიკი იყო) და ყრილობამ მხარი დაუჭირა ფოთის საქალაქო თვითმმართველობის შემადგენლობას. დამტკიცდა 120 ათასიდან 150 ათასამდე ფუთის სიმძლავრის ელევატორის მშენებლობის პროექტი. აღნიშნული მოწყობილობით საპროექტო ღირებულება შეადგენდა 375 ათას მანეთს. აქედან 30 000 ქალაქს უნდა გადაეხადა ერთდროულად, სამუშაოს დაწყებისთანავე,ხოლო დანარჩენი თანხა უნდა გადაეხადა 5 წელიწადში 1-კაპიკიანი საფუე გამოსაღებით.

ვალის გადახდის შემდეგ ელევატორი ქალაქის საკუთრებაში გადადიოდა. ელევატორის მშენებლობა 1908 წელს დასრულდა.

განძი, რომელიც დაგვიტოვა ნიკო ნიკოლაძემ

- ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო, რითაც სამუდამოდ იხსნა პერიოდული დატბორვისგან.
- ააშენა სამი ხიდი, აქედან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს აერთიანებს მესამე კი გურიას.
- გააუქმა მდინარეებზე-მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადაყვანა-გადმოყვანაზე უზომოდ დიდი გადასახადი.
- მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.
- ააშენა ელექტროსადგური, რომელიც ქალაქსა და პორტს ანათებდა.
- გაიყვანა სატელეფონო ქსელები.
- ააშენა კოხტა, ლამაზი აგურის შენობები, ნაცვლად ხის სახლებისა. ქვის შენობაში მოათავსა ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები, სკოლები.
- მოხერხებულ ადგილზე გადაიტანა სავაჭრო მოედანი, გააშენა მინით დახურული ბაზარი და დუქნები.
- მოაწყო პირუტყვის სასაკლაო და სუფთა წყლის ამოსაღები სისტემა.
- განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით აღმართა ბიზანტიურ სტილზე ეკლესია.
- შენობები აუშენა საავადმყოფოსა და პოლიციას.
- მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი (კონკა).
- გაიყვანა მოკირწყლული გზატკეცილები და ქუჩები.
- შეიძინა ქალაქის განაპირა ადგილები.
- მოაწყო საწყობები პორტში და ელევატორში.
- ნავსადგურში დააწესა საფუთო გადასახადი, რომელიც ქალაქის შემოსავლის მტკიცე წყარო გახდა.
- მოხდა რიონის პორტთან არხით შეერთება.
-სარკინიგზო ტვირთზე ბაჟის დაწესება ქალაქის სასარგებლოდ.
- საავადმყოფოს დაარსება.
- საზოგადო ბანკის გახსნა.
- სამოსწავლებო სემინარიისა და სამასწავლებო ინსტიტუტის დაარსება.
- ოროქლმავლის შეძენა გემების ბუქსირით გაყვანა-შემოყვანისათვის.
-პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალზე არხების გაყვანა.
- რიონის მომზადება ზამთარში გემების სადგომად.
- წყალვარდნილების მშენებლობა ელექტროენერგიის მიღების მიზნით.
- მანქანების, მატორიანი ნავების შეძენა.
- ფოთის გარშემო ჭაობების დაშრობა და ნაჭრებად დაყოფა ფერმების მოსაწყობად.
- კურორტის მშენებლობა ზღვასა და პალიასტომს შორის.

რა დარჩა განუხორციელებელი ნიკო ნიკოლაძეს

ნიკოლაძეს სამომავლო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა:არხით შეეერთებინა რიონი პორტთან; რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება ქალაქის სასარგებლოდ; საავადმყოფოს დაარსება; ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა; სამოსწავლებო სემინარიისა და სამასწავლებო ინსტიტუტის დაარსება;-პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალზე არხების გაყვანა; რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომად ზამთარში; კურორტების გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა; სახალხო სახლისა და თეატრის აშენება და სხვა.

ამ გრანდიოზული გეგმების განხორციელება ვერ მოასწრო ნიკოლაძემ: 1894 წლიდან 20 წლიანი დაუღალავი შრომის, ენერგიის, ჯანმრთელობის საფასურად ,,ქართველმა უმადურობამ" უკვე 70 წელს მიტანებული ნიკოლაძე სასამართლოს კარებამდეც კი მიიყვანა. ცილის მწამებლური კამპანია 1913 წელს გაზეთ ,,იმერეთის ფურცლებიდან დაიწყო. ზედიზედ ქვეყნდებოდა ნიკოლაძის სალანძღავი სტატიები ვინმე ,,ეროს" ფსევდონიმით (ეს გახლდათ ვასილ წერეთელი სოციალ-ფედერალისტი, 1906 წლიდან ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი). რაც კი კარგი გააკეთა ავად გაუხსენეს, ტყიბულის ქვანახშირის ჭიატურის მარგანეცის საბადოების ამუშავების, რკინიგზის გაყვანის საქმეებში ათასგვარ აფსურდულ ბრალდებებს უყენებდნენ, ეკონომიკური პოლიტიკაც კი დაუწუნეს: ,,ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობამ თავისი დრო მოჭამა და დღემდე თუ ის ფოთისთვის საჭირო იყო ამას იქით მავნებელი იქნება...ახლა სხვა დროა და სხვა გზაა საჭირო... ის გზა, რომელსაც ნიკოლაძე ადგას ფოთს დაღუპავსო". და ასე მოძღვრავდნენ გაზეთის ფურცლებიდან ფოთელებს (გაზ. ,,იმერეთი", 1913 წლის 5 იანვარი): ,,ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი", -გამართლდა ვაჟა-ფშაველას აფორიზმი. ასეც მოხდა: გულ-ბოროტმა, შურიანმა, სულმდაბალმა ადამიანებმა ფოთის მაშინდელი საქმოსნებიდან, ფოთის ,,ვაი-პატრიოტებმა", ფეხი აუწყვეს ჭორებს 40წლის მეგობრები იონა მეუნარგია და ნიკოლაძე ერთმანეთს გადაჰკიდეს, ახალი ბრალდებები შეთითხნეს, ნავსადგურის მშენებლობისას ქრთამის აღებაც კი დააბრალეს და სამართალში მისცეს. მართალია, სასამართლოზე ბრალდებები ვერ დაუმტკიცეს ნიკოლაძეს, მაგრამ ეს იმდენად დიდი სულიერი ტრავმა იყო მისთვის, რომ ნიკოლაძემ დატოვა საქართველო და რუსეთში წავიდა სამუსაოდ და საცხოვრებლად.

ნიკო ნიკოლაძის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი რუდუნებით ნაშენები პორტი-საქართველოს საზღვაო კარიბჭე მიხეილ სააკაშვილმა ერთი ამწის ფასად გაყიდა

დაე, ქალაქის სიყვარულმა გაგაერთიანოთ!

საერებულოში ავირჩიოთ პროგრესული ახალგაზრდები, პროფესიონალები, პატრიოტები ყველა პარტიიდან, ვინც ადადგენს სანავსადგურო ქალაქის გეოსტრატეგიულ ფუნქციას, აადორძინებს ტრადიციულ დარგებს, იზრუნებს ლეგენდარული ფაზისის ისტორიისა და ტურიზმის დაკავშირებისათვის - საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისათვის.

თვითმმართველობის არჩევნები და სახელისუფლებო პარამეტრები

30 წლიანი ფსევდოდემოკრატიის შედეგები - მტრულად გაყოფილი ქვეყანა

დემოკრატიის გზა ეკლიანი და შეცდომებით სავსე გამოდგა - იყო სამოქალაქო ომი, დაკარგული ტერიტორიები, ძალადობრივი რეჟიმი, ერთპარტიული და არაფორმალური მმართველობა, ეს ის საარჩევნო გაკვეთილებია, რომელიც სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ. პარტია და ხელისუფლება ქვეყნის მენეჯერის ფუნქციას ასცდა, შეერწყა სახელისუფლებო ინსტიტუტებს - სასამართლო, პროკურატურა და ასე შემდეგ, ქვეყნის ქონების მეპატრონედ და განმკარგავად იქცა. საპარლამენტო რესპუბლიკა უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, რათა ქვეყანა იმართებოდეს კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე, სამწუხაროდ, აქ ნაკლებად არიან პოლიტიკოსები და მილიონერი ბიზნესმენები უფრო მეტნი არიან. თითქოს ბიზნესკლუბი იყოს, რასაც ემატება ერთპარტიულობა, თავისი მთავრობით, ეს არის ის ქვაკუთხედი, რის გამოც პოლიტიკური ბატალიები არ ცხრება, მაშინ როცა სოციალური უთანასწორობა პიკს აღწევს. როცა ბიუროკრატების ხელფასი 30-40 ათასია, პენსია მინიმალურ თანხას ვერ გაცდა. ამ სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვეცადოთ რეალურად გამოვიყენთ გეოპოლიტიკური და სტრატეგიული პრიორიტეტები.

პარტიები ერთმანეთს ძველებურად კომპრომანტებით ებრძვიან, განსაკუთრებით საარჩევნოდ, ,,ნაცებმა" რომლებიც ეკლესიას ანგრევდნენ, იგივე ბრალდება წაუყენეს ,,ოცნებას", რაც გამყარებულია ათასობით ფარული ჩანაწერით. უსაფრთხოების სამსახური სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდეს და არა ხელისუფლებას. რაც შეეხება მედიას, ისიც შეერწყა პარტიას ან ხელისუფლების მხარესაა, ან - მოწინააღმდეგეა. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მედია ბედის ანაბარაა მიტოვებული. ფარული ჩანაწერები სასამართლო ნებართვის გარეშე დანაშაულია, მაგრამ ორჯერ დანაშაულია ტელევიზიით აფიშირება პარტიის დავალებით. აღსანიშნავია, რომ ამ ჩანაწერებში, ნაკლებად ფიგურირებენ ,,ნაცები". ეს ტელევიზიები ძალადობრივი რეჟიმის რუპორებად იქცნენ, რომელთა დაფინანსებით არსებობენ დღემდე. ეს ძალა დღესაც თავსატეხია ქვეყნისთვის და არა მარტო ,,ოცნებისათვის", მაგრამ მხოლოდ ამაზე აპელირება ათი წლის შემდეგ მიუღებელია ამომრჩევლისთვის, რომელიც კარგა ხანია ეკონომიკის

ქვეყნის დემოკრატიული მომავლისათვის ბრძოლაში მთავარი იარაღია ბიულეტენი და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა.

განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ნორმალურ ცხოვრებას ელოდება. პარტიული ბრძოლა ხელისუფლებისათვის ყველა მეთოდით, სისხლიანი დაპირისპირებით, კარგს არ მოიტანს ქვეყნისთვის. მხოლოდ ერთ პარტიას უნდა ხელისუფლებაში ყოფნა-განუსაზღვრელი დროითა და ძალაუფლებით. უკიდურესი ხასიათი მიიღო ბანერებით ბრძოლამ, რისთვისაც მილიონები იხარჯება, მაშინ როცა ადამიანები არსებობისთვის იბრძვიან. აღსანიშნავია ისიც რომ, ტრადიციულ სისხლიან ბანერს გახარიას პორტრეტიც მიემატა, რომლის სიითაც გავიდნენ პარლამენტში და რომლის შენობასაც იცავდა თავგამოდებით, ოპოზიციური შემოტევისგან და რომ დაეთმო, ვინ იცის სად იქნებოდნენ დღეს ეს პარლამენტარები. სამწუხაროდ, ათობით პარტიაში გაფანტულია კარგი პოლიტიკოსები. ვერ ხერხდება მათი თავმოყრა ერთი მიზნისათვის -ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ხალხი, სახელმწიფო და ხელისუფლება დაცილდა ერთმანეთს. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ცხოვრება იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ ადამიანებმა დაკარგეს სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი. საზოგადოებრივ ყოფას გამოეცალა ღირსების გრძნობა, განწყობა, მოლოდინი უკეთესი ცხოვრებისა, რწმენა დაკარგული ადამიანები ღირებულს ვერ შექმნიან, ქვეყანა საარჩევნო კამპანიად იქცა და ეს ერთ-ერთი მიზეზია ამ ვითარებისა.

ადგილობრივი არჩევნები და სახელისუფლებო ინტერესები, ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ცენტრი არ უნდა განკარგავდეს რეგიონის ქონებას, იცით როგორ გაასხვისეს ფოთის პორტი და შემოსავალი დაუკარგეს ქალაქს. ერთპარტიულობის პრობლემა ადგილებზეც იკვეთება, ამიტომ ხმა მივცეთ ღირსეულ ადამიანებს სხვადასხვა პარტიებიდან, რომლებიც რეალურად იზრუნებენ ქალაქის განვითარებისათვის,ევრაზიის დერეფნის ფუნქციის რეალიზაციისათვის.

ზ. აბრალავა

„EU4Culture"- ქალაქ ფოთის კულტურის განვითარების სტრატეგია



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი იწვევს დაინტერესებულ პირებს, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საგრანტო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, ჩაერთონ ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის მომზადებაში და წვლილი შეიტანონ პროექტის განვითარებაში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია მონაწილეობს ევროკავშირის საგრანტო პროექტში „EU4Culture".

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი იწვევს დაინტერესებულ პირებს, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საგრანტო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, ჩაერთონ ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის მომზადებაში და წვლილი შეიტანონ პროექტის განვითარებაში. პროექტის U4Culture მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურის როლის ზრდას ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა.

პროექტი EU4Culture ხორციელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების შემდეგი კულტურის ინსტიტუტების მიერ:

გოეთეს ინსტიტუტი;
ჩეხეთის ცენტრები;
დანიის კულტურის ინსტიტუტი;
საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.

აღნიშნული პროექტი ეყრდნობა რეგიონთაშორისი მიდგომას და მხარს უჭერს ცოდნის გაზიარებასა და კულტურათაშორისი დიალოგის გააქტიურებას. კონკურსის კონკრეტულ მიზანს კი წარმოადგენს, კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაეფუძნება მონაწილეობრივ მიდგომას, საჯარო-კერძო დიალოგს, ასევე, მულტიკულტურული/მულტიეთნიკური ღირებულებების შენარჩუნებას, განვითარებას მიზნობრივ ქალაქებსა თუ რეგიონებში. 4ჩულტურე, ასევე, გააძლიერებს კულტურულ ინიციატივებს და რეგიონალური ხელისუფლების რესურსებს/შესაძლებლობებს კულტურის პოლიტიკისა და შემოქმედებითი ეკონომიკის მიმართულებით. პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო უწყებების დიალოგს კულტურის დამოუკიდებელ სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. პროექტი ოთხ ეტაპიანია. პირველადი შესარჩევი ეტაპი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა საქართველოს სხვა 4 ქალაქთან ერთად გადალახა. ამჟამად, მიმდინარეობს მეორე ეტაპისთვის სრული განაცხადის მომზადება. აღნიშნული ფორმის შევსებით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაქვთ სურვილი, სააპლიკაციო განაცხადის მომზადებისა და შემდგომ, პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, იყოთ პროექტში ჩართული დაინტერესებული მხარე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია უკრაინის ელჩს საქართველოში იური დოლგოვს შეხვდა

უკრაინის ელჩი საქართველოში იური დოლგოვი ქალაქში არსებული ეპიდემიოლოგიური და ახალი კორონა ვირუსის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით დაინტერესდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ფოთის ნავსადგურისა და საპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასა და განვითარების პერსპექტივებზე.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ ელჩს ფოთის ტურისტულ პოტენციალზე ესაუბრა.

იუსტიციის სამინისტრომ ფოთის მერიასთან მემორანდუმი გააფორმა

პრობაციონერები ფოთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურში დასაქმდებიან - იუსტიციის სამინისტრომ ფოთის მერიასთან მემორანდუმი გააფორმა.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომამისჯილი პირები ფოთის მერიის შესაბამის სამსახურებში,სკვერებსა და ბაღებში დასაქმდებიან. იუსტიციის სამინისტრომ არასაპატიმრო სასჯელის ეფექტიანი აღსრულების მიზნით ახალი მიდგომა დანერგა. შესაბამის მემორანდუმს ხელი იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ და ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ მოაწერეს..იუსტიციის სამინისტროს ახლებური მიდგომის შედეგად, მსჯავრდებულები ერთის მხრივ საკუთარ წვლილს შეიტანენ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოების წინაშე მიყენებულ ზიანს აანაზღაურებენ.

მიმდინარე წლის ივლისში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უკვე გაფორმდა ქუთაისის, ოზურგეთის, ბათუმის, ყვარლის, გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების მერიებთან, რის შედეგადაც, შრომამისჯილთა დასაქმებისთვის ახალი სივრცე გაჩნდა.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ეფექტიანი აღსრულების მიზნით, შესაბამისი მემორანდუმი, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ქალაქთან და მუნიციპალიტეტთან გაფორმდება.

ერთი აჭარელი კაცის ცხოვრების გზა,- განვლილი ქვეყნის სატკივარითა და სიხარულით



რევაზ ჯაბნიძე

ყველაზე დიდი ბედნიერება ,ადამიანებს შორის ურთიერთობაა, ეს ჩვენს ხელის ჩამორთმევას გაუმარჯოს-ბევრჯერ გვითქვამს სადღეგრძელოში, იგი ახალი ურთიერთობის,სიყვარულის და მეგობრობის დასაწყისია,უფრო ხალისიანს და პასუხისმგებლიანს ხდის შენს ცხოვრებასმიაღწიო წარმატებებს და ამით გაახარო ახლობლები და მეგობრები.

რა ცოტა დროა ამ მართლა წუთისოფელში და უნდა მოვასწროთ სიყვარულით ცხოვრება. ჩვენი მეგობრობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როცა აჭარის რაიონებში გაზი გაგვყავდა, ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, ვისთანაც დღემდე ვმეგობრობ,მათ შორისაა **რევაზ ჯაბნიძე**. ნაშრომ-ნაჯაფი კაცი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ნამდვილი ქართველი ხასიათით,ზნეობით, ტრადიციებით, სტუმარ-მოყვარეობით.

1946 წელს მოევლინა იგი ქვეყნიერებას, ულამაზეს ბათუმში. მას აქეთ დიდი გზა გაიარა - სკოლა, უმაღლესი, სამსახურები, დოკერ-მექანიზატორობიდან ხელმძღვანელ თანამდებობამდე, მათ შორის იყო სასურსათო კომპანია „ტორგმონტრასის დირექტორი „ცხოვრება ულამაზეს სოფელ ფერიას დაუკავშირა, სადაც დღეს გაზიფიკაციის სამუშაოს ხელმძღვანელობს.

ნახევარი საუკუნე გვერდში უდგას დიდებული ქალბატონი **ჟუჟუნა გოლიძე**, როგორ ეტყობა მისი ხელი აქაურობას, თითქოს ბუნების სილამაზეს აქ მოუყრია თავი. თუმცა, ყველაფრის გვირგვინი შვილები,შვილიშვილები და შვილთაშვილებია. ოთხი შვილი, რვა შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. ეს არის დიდი ოჯახი, თავისი კულტურით, აწმყოთი და მომავლით. აქ განსაკუთრებით ამაღლებულია სტუმარ-მასპინძლობის ფენომენი. სტუმარი ღვთისააო, ჩვენც ხომ წუთისოფლის შვილები ვართ და როგორმე უნდა გავახალისოთ იგი. ძალიან მენატრება მიახლოება შენს ეზო-კართან და შეძახილი„მაინძელო", შენი გახარებული სახის დანახვა. ასეთი შეხვედრები თუ გაალამაზებს დაღლილ ყოველდღიურობას, გათითოკაცებულ ქვეყანაში ადამიანები არ ინდობენ ერთმანეთს, არადა, სიყვარულმა მოიყვანა ეს ქვეყანა აქამდე. ვიცი შენც გაწუხებს ეს ყოველივე. ულამაზეს სოფელში, სიყვარულით და სტუმრიანობით გამთბარი. შენო ოჯახი ეზო-კარი როგორც მარგალიტი ისე ბრწინავს შენი მემლექეთი ჩემიც არის, ჩვენი ქვეყნის ერთიანი წარსულის გამო, მაგრამ ადამიანების გარეშე არ არსებობს არც ქვეყანა და არც ისტორია.

ხშირად მოუხედავ თქენს მხარეს ცის კაბადონზე ჰკიდია ბუნების შედეგრი დიდი სურათი - „აჭარის მთები დაუთოვია". შეხვედრამდე, კარგო მეგობარო!

მამუკა აბრალავა

2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებისთვის კოვიდუბნები შეიქმნება

აღსანიშნავია რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით შესაბამისი განკარგულება მიიღო.

სამხატვრო სკოლაში სწავლა 4 ოქტომბრს განახლდება

ფოთში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სამხატვრო სასწავლებლის სრული რეაბილიტაცია მაისში დასრულდა.

სასწავლებელში სწავლა 4 ოქტომბრიდან განახლდება.

აღსანიშნავია,რომ მოსწავლეების მიღება 10-12 წლიდან არის შესაძლებელი.

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრში ახალი სეზონი იწყება

23 სექტემბერს ფოთის თეატრი პირველი სპექტაკლით „მაგდონახის სილამაზის დედოფალი“ წარსდგება მაყურებლის წინაშე. “ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი ეჟენ იუნესკოს სახელობის თეატრთან, ფრანგი რეჟისორი ერთობლივი სპექტაკლის დადგმას შეგვპირდა” – განაცხადა ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, **რამაზ იოსელიანმა**.

კოლხური კულტურის მუზეუმში ნელი გეგეშიძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის წლის საუკეთესო მასწავლებელთა დაჯილდოება გაიმართა

კოლხური კულტურის მუზეუმში ნელი გეგეშიძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის წლის საუკეთესო მასწავლებელთა დაჯილდოება გაიმართა. სულ 11 საჯარო და 4 კერძო სკოლის მასწავლებელი სხვადასხვა სახის პრემიებითა ,მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 500 ლარის ოდენობით დაჯილდოვდნენ. აღსანიშნავია რომ, წლების მანძილზე ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისთვის მე- 5 საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სვეტლანა ოკუჯავა დაჯილდოვდა. შეგახსენებთ,რომ დღეს კოლხური კულტურის მუზეუმში წლის საუკეთესო მასწავლებელთა დაჯილდოება მიმდინარეობდა,სადაც სკოლის დამსახურებული პედაგოგები,ფულადი პრიზებითა და წამახალისებელი პროზებით დააჯილდოეს.

ფოთში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სოციალური მხარდაჭერის პროგრამის „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის კომპონენტის“ ფარგლებში, ფოთში, მალთაყვის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ.

დევნილებს ენდოკრინულ დაავადებათა და მხედველობის სკრინინგი (საჭიროების შემთხვევაში სათვალის რეცეპტის გაცემა), სისხლი მიმოქცევის სისტემის სკრინინგი, რადიოლოგიური კვლევა და სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია ჩაუტარდათ. დანიშნულების შესაბამისად, პროგრამის ბენეფიციარებს საჭირო მედიკამენტები გადაეცათ.

დევნილთა დასახლებაში COVID-19-ით ინფიცირებულ, თვითიზოლაციაში მყოფ პაციენტებზე ბინაზე მართვის პროტოკოლით გათვალისწინებული მედიკამენტების ნაკრები გაიცა.

სამედიცინო აქცია ახალი კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების გათვალისწინებით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და შესაბამისი რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობდა.

სამედიცინო გამოკვლევების მიმდინარეობას მიმდინარეობას აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლევან ჩაკვეტაძე, ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი ესწრებოდნენ.

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის, ბავშვთა და მოზრდილთა, ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვადასხვა დარღვევათა ადრეული დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა.

ხმაური იყო გვიან ღამით ფოთში

ხმაური იყო გვიან ღამით ფოთში. თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სტამბის შენობაში მცხოვრები ადამიანები ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

მათი თქმით შენობა სადაც ცხოვრებენ, ავარიულია, გადახურვას და გამაგრებით სამუშაოებს საჭიროებს. როგორც ისინი აცხადებენ : ადგილობრივი ხელისუფლება მათ პრობლემის მოგვარებას 2013 წლიდან ჰპირდება, თუმცა, ამ დრომდე არაფერი შეცვლილა.

მოსახლეობა ასევე სანიაღვრე არხებისა და ხიდ-ბოგირების მოწყობას ითხოვს

აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ მანამ სანამ ხელისუფლების მხრიდან გარანტიებს არ მიიღებენ ხელისუფლებას გზის რეაბილიტაციის საშუალებას არ მისცემენ.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე მშენებარე ფირმამ პოლიცია გამოიძახა, რასაც ადგილობრივების გაღიზიანება მოჰყვა.

მერიის წარმომდგენელმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, კომენტარის გაკეთება არ ისურვა და განმარტა რომ საკითხი ჯერჯერობით არ არის გარკვეული.

სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მე-11 საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სასწავლო დაწესებულებაში განხორციელდა დაზიანებული ჭერის დემონტაჟი, მთლიანად გამოიცვალა ელექტრო გაყვანილობა. მოეწყო განათების ახალი სისტემა.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ლაკადა 2016“ ახორციელებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ფოთში 15 საჯარო სკოლაში სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები განხორციელდა.

ნუ მივჩქმალავთ ერის ნამდვილ ისტორიას

ლეონტი მროველი

ქართველი ეპისკოპოსი თუ სომეხი მემატიანე



ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტემდე მე-3 საუკუნეში გავრცელებული იყო 6 ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, რაც არასწორი წარმოჩენაა ისტორიული რეალობის.

1. ქრისტემდე მე-3 საუკუნეში, (ვიდრე მე-9 საუკუნემდე) ცნება საქართველოერთიანი სახელმწიფოსი არ არსებობდა. პირველად, მისი დამკვიდრება მოხდა მეფე ბაგრატ მე-3-ის მიერ მე-11 საუკუნეში. მე-3 საუკუნეში კი არსებობდა ეგრისის სამეფო და ქართლი. რის შესახებ ლეონტი მროველი შეგნებულად არ ახსენებს ეგრისის სამეფოს, არმედ საქართველოს! ვინაიდან, მას მოუწევდა მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების აღიარება, რის გამოც შეეცადა რეალური ისტორია მიეჩქმალა იმ მიზეზით, რომ არ წარმოჩენილიყო პირველადი კვალი უძველესი ენისა, რომლის ტოპონიმები განფენილია თითქმის მთელს ევროპასა და აზიაში. ამის შესახებ დუმს „ქართველი" მემატიანე ლეონტი მროველი და მის ლანდს გამოკიდებული თანამედროვე მეცნიერების უმეტესი ნაწილი.

2. შემდეგი მიზეზი მროველის დუმილისა ის გახლავთ, რომ დღევანდელ სომხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. მე-7 საუკუნეში ცხოვრობდა ფრიად განათლებული ძვ. მეგრელთა განშტოება ალაროდიელები, რომლებიც ძვ. წ. მე-6 საუკუნეში მომხვდური დიდი გაერთიანების არმენების მიერ სასტიკად იქნა განადგურებული. რის გამო, ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მიერ მომხვდურზე განზოგადდა სახელი „სონმეხი", რაც ძვ. მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს: „სადაური მეხი", რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სრულიად მოულოდნელად მეხივით თავსდატეხილ უბედურებაზე მიანიშნებს, რასაც ასე უფრთხობდა მროველი. ამიტომ უნდა მიჩქმალულიყო, გაუბრალოებულიყო, ღარიბ და ჩამორჩენილ სოფლის კილოკავად უნდა წარმოჩენილიყო, რაშიც, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის, (ნუ გაგიკვირდებათ) ჩვენს სათაყვანებელ მგოსანს აკაკი წერეთელს. აი, რას წერს იგი თავის სტატიაში: „უბრალო საუბარი". (1898წ). „... მეგრელი კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალარო ნამდვილი ქართული სიტყვების". შენიშვნა: თუ მეგრული ჩამორჩენილი კილოა, როგორ შეიძლება ჩამორჩენილი კილო სალარო იყოს ქართული სიტყვების?! ან სად გაგონილა კილო ავსებდეს ენას?! ან, როგორ განვიხილოთ აკაკის სიტყვებიდან გამომდინარე უდიდესი ეგრისის სამეფოს მდიდარი მეფე ქუჯი ჩამორჩენილ კილოზე საუბრობდა და ღარიბი ფარნავაზი სადარბაისლო ქართულზე"?! ნუთუ ვერავინ ხედავს, რომ რეალური ისტორიის აშკარა გაყალბებასთან გვაქვს საქმე, რომელმაც უკვე გამოიღო მკვეთრად უარყოფითი შედეგები, რაც დიდად დამაზიანებელია ჩვენი ერთობისთვის. მინდა მათ გასაგონად განვაცხადო: ვინც, დღესაც ჩვენი წინარე ისტორიის გაყალბებით არის დაკავებული, -ჩვენ, მეგრულ-ლაზური და სვანურენოვანი მოსახლეობა, მკაცრად ვიცავთ საქართველოს ერთიანობას, მაგრამ ნამდვილად ვერ შევეგუებით ჩვენი წარსული ისტორიის გაყალბებას, რომელსაც თქვენ ჩვენთან ერთად უნდა იცავდეთ და აღმერთებდეთ.

3. ასევე ყურადსაღებია მროველის მიერ ჩამოთვლილ ენათა შორის, პირველს არაქართულს, არამედ სომხურს ახსენებს. შეიძლება ვინმეს ეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ის, რაც ჩვენ, მუდამ წვრილმანად და არაყურადსაღებად გვეჩვენებოდა, იქ მტერს დიდი ვერაგობა ჰქონდა ჩადებული, რაც ჩვენდა საუბედუროდ,არაერთხელ უდიდესი დაცემით დასრულებულა.

4. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ქართველი მეცნიერის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ისტორიულ-მემატიანურ მხარდაჭერაზე მროველისადმი. იგი თავის წიგნში: „აფსირტედან გამსახურდიამდე, ანუ აწმყოს უდაბნოში" დიდი სიყვარულით აღნიშნავს, აღნიშნული ენების გავრცელების თაობაზე. ტ. ფუტკარაძეს მოჰყავს მროველის მიერ ფარნავაზის დროინდელი ენები, რომელთა გვერდით არ ასახელებს მეგრულს: „ქართული ენის კილოკავების მსგავსად, მეგრულს მაშინაც მხოლოდ „საოჯახო ენის სტატუსი ჰქონდა" თურმე ნუ იტყვით, მროველი - ფუტკარაძის ცნობით ყველაფერი პირიქით ყოფილა- მდიდარი ქუჯი ღარიბი ყოფილა, ხოლო ღარიბი, განდევნილი ფარნავაზი კი-მდიდარი.

აქედან გამომდინარე, საფუძვლიან ეჭვს ბადებს ფარნავაზის და ქუჯის შეხვედრისა და ქუჯის მიერ სახელმწიფო მართვის სისტემის ფარნავაზზე გადაცემის საკითხი, რაც მროველის თქმულიდან არს გამომდინარე, რომელიც ძირეულ გამოკვლევას მოითხოვს.- რა მოხდა 24 საუკუნის წინ, ვინაიდან, ფარნავაზიდან მოყოლებული დღემდე საერთოდ მიჩქმალულია მეგრულ-ლაზურ-სვანური ენები, მათი განსაკუთრებული როლი ათასწლეულების მანძილზე კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერებაში (ყველა მიმართულებით) ყოველივე ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საუკუნეების განმავლობაში გაბატონებულთა მიერ მომდინარეობდა აზრი იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის წინააღმდეგ რომ არ განმეღავნებულიყო მათ მიერ ჩადენილი უამრავი ცოდვების საიდუმლოებანი, რომლის მამხილებელი არს ენაი ლაზური.

იოანე ზოსიმეს ძეგლის „ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"-ს თანახმად, ყოველი საიდუმლო, რაც სამყაროში არსებობს დღემდე ლაზურ ანბანშია, რომელიც პრეისტორიულ ხანაში მოგვთა ენა იყო, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთთან ურთიერთობის ენა. ამიტომ ითვლება იგი პირველად ენად, რასაც ასე საგულდაგულოდ ჩქმალავენ და აკნინებენ დღემდე სემიტური და ქამიტური მოდგმის მამამთავრები. (კაცობრიობის მტრები).

მიხაკო წერეთელმა, „რომელმაც გილგამეშიანი" თარგმნა, შექმნილია 1500 წლით ადრე, ვიდრე „ძვ. აღთქმა", სადაც წარდგნა სრულად „გილგამეშიანიდან" არის გადაწერილი, რომელიც 4 ენაზეა დაწერილი - ხეთური, აქადური, შუმერული და ხურიტული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვალი იბერიულ-კოლხური რასის მითოგრაფოსებისკენ მიდის, რომელთა სახელებმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოაღწია. უკვე ცნობილია ყოველივე ამის მიზეზი უკვე ცნობილია, ოღონდ, მუდმივად არ მასვენებს ერთი კითხვა: „რატომ კეთდება ეს ყველაფერი ქართველის ხელით? რომელიც ასე დაუნდობლად ებრძვის, ჩქმალავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, მის პირველ კულტურას- ენა ლაზურს, რომელითაც ნებისმიერი სხვა თავმოყვარე ერი დიდად იამაყებდა და არნახულ მითებსა და ლეგენდებს შექმნიდნენ. რატომ კეთდება ეს საშინელებანი თქვენი ხელით! რატომ ასე დუუმორეულნი ებრძვით საკუთარ წარსულს, თუ ეს არ არის თქვენი წინარე ისტორია,ისიც განაცხადეთ და სიძულვილის მიზეზიც მიაყოლეთ, (მროველი გასაგებია, მას, როგორც ეპისკოპოსს შეუტანია განსაკუთრებული წვლილი ჩვენი ერის ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში, რასაც მოწმობს მისი ე. წ. მოღვაწეობა).

მიუხედავად ამისა, ყველა გამყალბებელს შევახსენებ ძვ. აღთქმას დანიელ წინასწარმეტყველზე, ღმერთის გამოცხადებას, ღმერთმა უთხრა დანიელს: (რომელიც „ქალდეველი" იყო) „მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩება". მოდით განვიხილოთ ვისი შთამომავალია დანიელ წინასწარმეტყველი. პირველი და მთავარი უნდა განვმარტოთ „ქალდეას" ეტიმოლოგია, რომელი ენა არის მისი მშობლიური, (შემქმნელი) ენა, რომ დავასკვნათ ვისი შთამომავალია დანიელ წინასწარმეტყვრლი.

მეცნიერთა თითქმის უმეტესი ნაწილი ქალდის უკავშირებს სემიტურს, თუმც მცნება „ქალდის" სემიტები თავის ენაზე ვერ განმარტავენ, ვინაიდან მისი მშობლიური ენა არის მეგრულ-ლაზური, რომელიც ასე განიმარტება „ქა" ძვ. მეგრულ-ლაზური სიტყაა და ქართულად ნიშნავს „რქას". რაც ღვთიური მეფის გვირგვინზე მიუთითებს. „ლ" ასო ნიშნავს: „ლაზს", ხოლო „დია" კი ძვ. მეგრულადიდან ქართულად ნიშნავს „დედას", რაც გვირგვინოსანი ლაზი დედაა (ქალღმერთი). აქედან გამომდინარე, დანიელ წინასწარმეტყველი არა სემიტური წარმოშობის იყო, არამედ ქალდეური, რომელიც იყო ლაზი ქურუმი.

და ბოლოს დავეშვათ დედამიწაზე. დიდ ბრიტანეთში ეთნიკური უმცირესობის 100-ზე მეტი ენა არსებობს, (საუბარია არ არის დიალექტზე, კილოკავზე, ჩამორჩენილ ან კიდევ საოჯახო ენაზე), რომელსაც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია, სადაც სახელმწიფო ენა ინგლისურია.

საფრანგეთში რამდენიმე ენაა: ბასკური, ბრეტონული, კატალონიური, კორსიკული, ფლამინდრიული და ოქსიტანური, რომელსაც საფრანგეთის დიდებისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით, უფრო მეტი შეჰმატა და გააძლერა, სადაც ასევე სახელმწიფო ენაა ფრანგული.

ჩინეთში, ჩინური ნაციონალური ენა იყო. ფეოდალური ჩინეთისათვის ძველი სალიტერატურო ენა ვენიანი იყო. შემდეგ ვენიანი შეიცვალა ბაიხუათი. ბაიხუა ის ძირითადი ენაა, რომლის საფუძველზე განვითარდა ჩინური ხალხის თანამედროვე ნაციონალური სალიტერატურო ენა, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა, ჩინელი მეცნიერები 8 ძირითად ენას გამოყოფდნენ ჩინეთის სახელმწიფოს განვითარებაში, რომელმაც ხელი შეუწყო ჩინეთის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, და მის განსაკუთრებულ გავლენას დღევანდელ მსოფლიოზე. რაც ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი საპირისპიროდ ხდება,(საკუთარ თვისტომთა მიერ). ამიტომ, ვერადა ვერ გავიმართეთ წელში, ვკარგავთ ძირძველ კუთხეებს, ისტორიულ ძეგლებს, წინარე ისტორიას, (კიდევ როგორ მოვედით დღემდე) გამეფებულია კუთხეთა მიმართ არნახული სიძულვილი, მაშინ, როდესაც ჩვენს წინაპრებს, ღვთის მადლით, სიყვარულით შეუქმნია უდიდესი ცივილიზაცია, რომელსაც თქვენ ასე დაუნდობლად და მიზანმიმართულად ებრძვით.

მაგრამ უფალი დიდია და თქვენ, ვაი ქართველებო! გაგიჭირდებათ უფლის საზეპურო ერისთვის დეზის კვრა, რამეთუ საქართველო ლაზარეა, უფლის საყვარელი მეგობარი, რომელსაც უფალი აღადგენს აღდგომის წინა დღეს.

12 ივნისი, 2019წ,

ნიკოლოზ იბერი

ნაცარმიყრილი ისტორია

მართლდება თუ არა მე-19 და მე-20 საუკუნის მეცნიერთა ვარაუდები კოლხურ კულტურასთან დაკავშირებით

კოლხეთის ისტორია, სრულიად საქართველოს საგანძურია და მას შესწავლა და პროპაგანდა სჭირდება. უნიკალური მეგრული ენა და ათასწლეულების წინანდელი დამწერლობა, ასევე, მსოფლიოს საკუთრებაა, რამეთუ ბევრ საიდუმლოს ინახავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მეცნიერი ვიწრო კუთხური გადასახედიდან უყურებს ამ საკითხს, მათ ვურჩევდით ყური დაუგდონ დიდ, ცნობილ ქართველებს, რასაც აქვე გთავაზობთ:

ივანე ჯავახიშვილი: „ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის-განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნის, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს".

ნიკო მარი: „მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს".

ილია ჭავჭავაძე: „თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ყველაზე დიდი ქართველი ხარ, იმიტომ რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი. მაშინ როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა საქართველო!"

აკაკი წერეთელი: „აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსული, თურქული შემოუღია. რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეხხირება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები,ჩვენ ვურჩევდით ჩვენ მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი". შევნიშანვთ რომ აკაკი შანიძის მიხედვით თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის 36% მეგრული წარმოშობისაა, 64 %-კი ბარბარიზმებს შეიცავს.

1861 წელს პარიზის ე. წ. მეცნიერთა საზოგადოებამ გააკეთა განცხადება, რომ 23 საუკუნოვანი კვლევა ენის წარმოშობის შესახებ უშედეგოდ დასრულებულია და ენის წარმოშობის ისტორიის აღდგენა შეუძლებელია. ხოლო 1886 წელს პეტერბურგის ენათმეცნიერთა საზოგადოებამ აკრძალა კოლხური ენის შემდგომი კვლევა უცნობი მიზეზით.

ჩვენი თანამედროვე ქართველი მეცნიერი, წალენჯიხელი **მამანტი ძაძამია** (თანაავტორებთან ერთად) არ დაემორჩილა მსოფლიოში გაბატონებულ დოგმებს და მეგრული ენის (კომპიუტერული ვერსიით ლექსიკური მარაგი მოიცავს 1 მლიარდ 4870 მილიონ სიტყვას) ლექსიკის ყოველმხრივი კვლევა-ძიების საფუძველზე (კვლევა მიმდინარეობდა უკანასკნელ 4 ათეული წლის განმავლობაში) ენის წარმოშობის საკითხს საფუძვლად დაედო ხმაბაძვითობის თეორია.

მათემატიკოსმა **გია კვაშილავამ** კი მეგრულ ენაზე გაშიფრა 100წლის განმავლობაში გაუშიფრავი 1907 წლის კუნძულ კრეტაძე ნაპოვნი უძველესი 3800წლის ფირფიტა - ფესტოსის დისკო, სადაც მოცემულია და იკითხება საგალობელი დიდი დედისადმი-ნენასადმი. თბილისის შემდეგ განხილვა წარმოადგინა ფოთში 2012 წლის მაისში კოლხური კულტურის მუზეუმში.

საქართველოში 1980 წელს აღინიშნა ქართული ანბანის 1500 წლისთავი, დიდი ალბათობით ამ ასაკის გადასინჯვის დრო დადგება იმ არქეოლოგიურ გათხრების შედეგად, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო თბილისიდან 50 კმ-ში კასპთან ახლოს, სადაც აღმოჩენილია 3000 წლის პირველი ანბანური დამწერლობა -(მხედრულიც და ასომთავრულიც) და გრაკლიანის წარწერითაა ცნობილი.

მაიამის ბეტა ლაბორატორიამ გრაკლიანის წარწერა ძვლი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებს მიანიჭა.

ამჟამად გრაკლიანის წარწერა გაშიფრულია აგრეთვე მეგრულ ენაზე: „ქიანა მიყორს" (ქვეყანა მიყვარს) მკვლევარ კუკური ფიფიას მიერ.

კლასიკური მეცნიერების დოგმატიური ხასიათი ცნობილია ჯორდანო ბრუნოს და უფრო ადრინდელი პერიოდებიდანაც. ჭეშმარიტი მეცნიერების ტიტანური შრომა ფასდება შედეგებით. ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ გერმანელ, ამერიკელ,პოლონელ ქართველ და სხვა ქვეყნების მეცნიერებს კოლხური კულტურის კვლევისათვის თუნდაც 5 ათასი წლის საყდრისის-მსოფლიოში პირველი ოქროს საბადოს-კოლხური კულტურის ძეგლად აღიარება რად ღირს...

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი
ფოთის ჰენსიონეთის თავმჯესაფარი
„ბეიბეჰას" თავმჯდომარე
ჯ. ხემელიანი

პოეზია

ეთერ ლატარაია

თქვენ გეძახით სკოლის ზარი

მოდით სკოლაში მოგროვდით,
თქვენ გეძახით სკოლის ზარი.
ამ ძახილში იჭედება
თქვენი კარგი მომავალი.
მოდით სკოლაში მოგროვდით,
მოიკრიბეთ დიდი ძალა,
ყოველ დილით ის იქნება,
აწი თქვენი მაღვიძარა.
მოდით სკოლაში მოგროვდით
გელოდებათ მერხი, დაფა,
სწავლა არის სიხარული,
სწავლა არის დიდი ჯაფა.
იგი ზარმაცებს ვერ გუობს,
უქნარას და გაიძვერას,
სწავლა არის ჩვენი წინსვლა,
ჩვენი ქვეყნის გულის ძგერა.
გულს თუ გახსნით არ იქნება,
არაფერი თქვენს წინ ძნელი,
გაიხსნება ცხრაკლიტული,
მწვერვალისკენ ასასვლელი.
თუ არადა არ იქნება,
ყველაფერი რასაც ნატრობ,
თვალი ღია კი გექნება,
მაგრამ ბეცი, უსინათლო.
თქვენი დიდი (მოთმინება)
მონდომება
არის ცოდნის საწინდარი.
მაშ გილოცავთ, იფურცლება
ახალი წლის კალენდარი.
ამ ახალ წელს არ გვენახოს
ჩვენ არცერთი მომტირალი,
საქმისადმი საჭიროა,
უდიდესი სიყვარული.
გულგრილობა გამქრალიყოს,
როგორც საშინელი სუნი,
ნუ იქნებით, ნუ იქნებით
საკუთარი თავის მტერი.
სულ ათები დაგებედოთ,
ბეჯითი და თავანკარა,
ორიანი არ მიგეღოთ
უშნო, ურჩი სალახანა.
მაშ იჩქარეთ ყმაწვილებო,
დაეწაფეთ ცოდნის წყაროს,
რომ სამშობლო ადღეგრძელოთ,
რომ სამშობლო გაახაროთ!.

*****

სკოლისაკენ

მოვიარე მთა და ბარი,
დავისვენე ბებოსთან,
მომენატრა სკოლა, მერხი
თამაშობა მეყოფა.
სწავლისათვის ვემზადები,
სკოლისათვის ვისწრაფვი,
ჩემს საყვარელ მშობელს
ვფიცავ
სულ ათებზე ვისწავლი.

*****

ახალგაზრდობას

კვირტები ხართ, ყვავილები
ჩვენი დედა სამშობლოს,
ღმერთმა უიმედოვება და
ბნელი ღამე ვაშოროთ.
დაგებედოთ საქართველო
ვით პატრონი, გამთბობი,
ძლიერი და უვნებელი,
არვინ ჰაყვდეს გამყოფი.
გაიზარდეთ ტარიელად,
ფრიდონ, ავთანდილებად.
იცოდეთ, რომ სამშობლოა
თქვენი ავლა-დიდება.
გაუფრთხილდით მის ყოველ
გოჯს,
მის სიცოცხლეს, ბუნებას,
სამშობლოზე უკეთესი
განა რა გეგულებათ?
ცოდნი - წყურვილით აივსეთ,
რომ ვარსკვლავად ინათოთ.
რომ სამშობლომ შეგიყვაროთ
და ყოველთვის გინატროთ.
სულ სიკეთეს ჩაეჭიდეთ,
ცუდს უთხარით უარი,
მამულისთვის ნუ იქნებით
მედროვე და სტუმარი.
თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი
მისი ძარღვი, სანათი,
ყველა სიკვდილზე მძიმეა
სამშობლოსათვის ღალატი.
წინაპართა სიბრძნითაა
ჩვენი მიწა გამთბარი,
მათი სული წინ გიძღოდეთ,
ვითარც მზე, კელაპტარი.

---

* * *

აგვისტოს ცეცხლი თორაკს ისხამს,შინდისფერ ცისა.

წვრილ ტროტუარებს ვერას შველის ,წარმოსახვა – მხუთავი ,მძიმე, გზა ცის კიბისა !..

გარდუვალ ხიფათს,ვერ აიხსნის სული გულმშვენი ... – და თუ ელოდა, მსჯავრის მტრისგან, მწიფედ გზავნილით ?!..

მაშ !მოჰკლეს სიტყვით ,და მტრობითვე ჰკლავდნენ ,ხორციელს ... თუმც სულიც ლაღობს და თან ერწყმის, ღვთაებრივ სამწყსოსს !

დღეს შავი ქოშიც უკანასკნელ ნაბიჯს მიითვლის ... აღარც ანაღვლებს,ქროლვით მძიმედ მონაბერი,მდუღარე დარდით ...

თუ ვარდს უდროო ,მონაწყვეტი ცეცხლს წარგზავნილი ,ზეცა ფირუზით , ხანაც ცხელად,..მოგიზგიზე ცეცხლის ფერით გაუფითრდება – მტრის ნაამბობი დღესვე ,პირცეცხლ დადასტურდება !

სევდას დაიკრავს,რომ ღრუბელში ამონათდება რომ მოლოდინიც ... თუ ხვალისა ,არას ვლინდება ?!..

შენს წნიდა გულში, სიყვარული , სრჯულის ღმერთის ამოიშვება !..

ვარდს ცეცხლი მოკვეთს , ცეცხლით... სნებით ,მძიმე დროებით .

სხვას ვერას ელის, განაჩენით, მათ ნარეცხ შუბლით !..

გამოიდარებს ?

თითქოს აწიც ,ქარცეცხლი მოვა ...

შენს მარტოდ დგომას ვერ მპატიობს დღეს ჩემი ჰყოფა.

სინათლე ხარობს, ზეიმია სულიერ ქართაა ?

– არ ჰქრიან სხვითგან ...

ჰო , მომეწყინა, ვინ ელოდა ნაწამებ გვამსა, უწმიდეს მკლავთა .

– თუ მაინც მსურდა, გაუსაძლისს იმ მტანჯველ წამთა ?!!.. და ხანგრძლივობა ,რომ მტანჯველი ... უწვეთო ზეცის, გადამშრალი ქარების ბორგვით – ქარებიც გკლავდა ?

მაგრამ რაა რომ ნაწამებმა უკანასკნელ ამოსუნთქვამ შენი ცხოვრებით, ღვთიურ სიცოცხლის ნაპერწკალი,ცეცხლად აღგზნებით ამად სიწმიდით, დიდსულოვანს

– სიცოცხლით მშვა რა . . .

* * *

ალექსანდრე რუსია

გარდუვალ წვიმებს... წვეთებს,წამებად გადუხვეწიათ , წრთობა წარსულთან.

მაშ , თუ , დუმილთან ან გრგვინვა ჭექდა . . .

მე ვერ გითხარი,სათქმელი სიტყვა და თუ . . . – მუნჯი გულია ,გრძნობებთან წვეთდა !

ჩემი სარკმელი სველია დღესაც . . .

* * *

გელათში ნათლობის ვაზისა და ოქროს ჯვრები , დიაკვანმა საკურთხevლიდან,იდაყვზე გადასალტული,ერთმანეთისაგან განურჩevლად , მტკიცე და ღრმა რწმენით გამოყო ჯერ და შემდეგ გამოაბრძანა.

ვფიქრობ ; ვგონებ,ნაცნობი სულის ნათლობის დღე იდგა.

შემოდგომა იყო და ბუნების დიდებული სისავსეც კი მშვიდად და შენივ სულივით მშვიდად და მარად მომღიმარი ტკბილი დიდი სულიერებით, გადმოიყურებოდა გელათის მამათა მონასტრიდან ; – მაინც , მაინც როგორ ?!.. როგორც ხშირად ჩაგეკითხებოდი მაშვინ ...ეხლაც და ყოველთვის ,

ვიტყვი !

ალბათ ისე როგორც მუდამ მონასტრის სამშვიდობოდ , როცა შენ შორიდან მოეფერებოდი ... როცა დგას 22 - სექტემბრის, 2021 წელის ოთხშაბათი დილა და იმავდროულად ,ყოველივე (აქვე) ჩემდა სავალალოდ, ისevე ,ჩემთვის, იქ ფოთში ,გრანიტული მიწაყრილით, სიცოცხლის იქაც თუ ზურმუხტისფრად აღარ, მაგრამ მოლურჯოდ .. მოკლედ. მოტეხილი ქვებისგან, მხოლოდ განაჩენისშემძenი ,დიდსულოვანი მხოლოდ კი ძვალია ,ძველის ახლად გამოღვიძების ; პატივისა და იმავდროულად თავისი,ამით ორთაგანნვე ,უნატვრელობისათვის,.. დღეს აქ რა .

კარგი ამინდია თუმც ქოლგა თან მაქვს , არ ვიცი ... აქედან არ მინდა, ვუცქერდე, თუ რას ,შevპირდი მონასტერს, შenი სიცოცხლისთვის !

უფალი წყალობს ყოველს !.. ვფიქრობ , ნეტარებით გულში ...

მenატრები, საოცარია დღეს იმერეთში ქარი არ ქრის, მე აქ ვარ შenს სულიერებასთან ახლო ,როგორიც დღevანდელი დღე მომაგონდება ; მღelვარეც და აუღelვevბელი ,ცხოვრებით !

მenატრები, და აქვე ვარ ,შenივე სურvილების, უახლოეს, შenეულ შegრძnebebთან ...

გარდაიცvალe ,

არ წvიმს და აღარც ქარია,

ეხლა ყvელანი მარტონი ვართ.

გelათში ეხლაც ,თalობა მიმდinარeობს ... – მართlაც ; იქnebb ,

meკითხა ვinმesათvის , თუ ვისი , იქnebb ;

სisხlი და ხორcisა .

მe sanთelი avanთe .

meრe ღmeრთs , me veraფeri vუთxari ,mxolოd შenი sული შevavedre sიყvarულით da xorciელი saბუdarით dagicvas .

arა , ქari sრulebით არ ჰქris , – icci უbedurad mikvdeba gული !..

bebia ძabული.

მილოცვა ემზარ კილასონიას დაბადების დღესთან – 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით

ბატონო ემზარ, გილოცავთ დაბადების დღეს -დიდ იუბილეს და გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, წელთა სიმრავლეს, სიხარულს, ბედნიერებას, იდღეგრძელე და იმზეგრძელე შenს lamaზ ოჯახთან ერთად.

შenი megobrebi

გვახსოვდეს

ან დავიტეხეთ მოყვრისა, ან ტოტდეს ვეძებეთ ზიანსა...

ისინი იღვწოდნენ ქალაქისათვის

გრიგოლ
კოკაია



პორფილე
ბარამიძე

ილია
ტაბაღუა

კოტე
ჭანტურია

ჯამბულ
შურღაია

ირაკლი
ლოლუა

სერგო
გუგელიძე

თინათინ
ჭოჭუა

თალიკო
კვარაცხელია

მიდისარ, ისე მიგაქვს ჩვალომა,
თითქოს ზღვის პირას თივას თიმავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალომა,
არა, უთუოდ დღეს დაიმადე.

მიდისარ, აღარ დაგემდურომა,
არც მიჩიოური არც ზეციური,
ვინა სთქვა შენი უმადურომა,
არა, დღესა სარ შენ მეენიური.

მიდისარ, ფიმილი გქონდეს მგზავრომა,
სხვა მინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსათრომა,
არა, შენ ჰპოვე თავშესათვარი.

მიდისარ, შენს მედს მეური ინატრომს
მედნიერს, მედი სხვა არსად არი,
შენ სიკრცეომმა დაგამინადრეს,
შენ უკვდავომის სარ მინადარი..



ნუშო
ქორქია



ლამარა
ნოდია

ვერიკო
შელია

ვიკტორ
ტიხოვი

საშა
ფულაია



გიული
ჟვანია

**აპოლონ
გულორდავა**

სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

6-12 სექტემბერს აჭარის დედაქალაქ ბათუმში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი უ-შუ კუნგფუში

6-12 სექტემბერს აჭარის დედაქალაქ ბათუმში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი უ-შუ კუნგფუში ყველა ასაკობრივ ჯგუფში, სადაც მონაწილეობდნენ: ყაზახეთის, ლატვიის, უკრაინის, სომხეთის, რუმინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფოთელმა სპორტსმენებმა, რომლებიც იცავდნენ საქართველოს ნაკრების დირსებას, წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს 9 ოქროს, 8 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლები. კერძოდ:

1. სოფიკო აფხაზავა - 1 ოქრო საჩვენებელ გამოსვლასა და 2 ვერცლის მედალი საბრძოლო იარაღებში.
2. ნიკა დიხამინჯია - 2 ოქრო საჩვენებელ გამოსვლაში.
3. ილია დანელია - 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო საჩვენებელ გამოსვლაში.
4. მარი არზიანი - 1 ოქრო საჩვენებელ გამოსვლაში.
5. გვანცა ქარჩავა - 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.
6. საბა გოგია - 1 ოქრო და 2

ვერცხლი საჩვენებელ გამოსვლაში.
7. საბა ნოზაძე - 2 ვერცხლი საჩვენებელ გამოსვლაში.
8. მაკა გაბისკირია (დიდები) – 2 ოქრო ჩენ-ტაიჩი საჩვენებელ გამოსვლაში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებებს ულოცავს ფოთელ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს ვასილ დუნდუასა და ნუგზარ ნიკოლენკოს და აღმოსავლური ორთაბრძოლების მენეჯერს ზაზა ქოიავას.

ვულოცავთ ჯაბა თურქიას და გივი ნადარეიშვილს გამარჯვებას

მისასალმებელია ის გარემოება, რომ ჩვენმა თანაქალაქელებმა ჯაბა თურქიამ და გივი ნადარეიშვილმა წარმატებით იასპარეზეს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ჭიდაობა-სამბოში, სადაც ჯაბა თურქიამ მოიპოვა მე-2, ხოლო გივი ნადარეიშვილმა - მე-3 საპიზო ადგილები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებას ულოცავს სპორტსმენებს მათ მწვრთნელებს ზურაბ ტუდუშს, ზურაბ ძაძამიას, კონსტანტინე ხუბუტიას და სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს.

ვულოცავთ მაკა გაბისკირიას მორიგ წარმატებას



მაკა გაბისკირიამ უ-შუ კუნგფუში ბევრჯერ მოუტანა სახელი და დიდება ჩვენს ფაზის-ქალაქს მან თავისი წარმატებული ასპარეზობით სპორტის ამ სახეობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მისი თაოსნობით მომზადებულმა ყმაწვილებმა ასევე გვასახელეს და ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალით მკერდ დამშვენებულები დაგვიბრუნდა ქალაქში.

მაკა გაბისკირიას წარმატებების ჩამოთვალი ასე გამოიყურება: 2019 წელი - თბილისი საქართველოს ჩემპიონატი, 1 ადგილი -2 ოქროს მედალი; 2017 წელი თბილისი, ევროპის ჩემპიონატი - მე-3 ადგილი; 2020 წელი თბილისი-საქართველოს ჩემპიონატი-2 ოქროს მედალი; 2020 წელი, მოსკოვი ევროპის ჩემპიონატი - 2 ოქროს მედალი; 2021 წელი, თბილისი დია პირველობა-ჩემპიონი; 2021 წელი, ბათუმი საერთაშორისო ჩემპიონატი - 1 ადგილი, 2 ოქროს მედალი.

ყოჩაღ მაკისინე! ჩენ, კი წარმატებებს გისურვებთ ქალაქის სახელით.

სულ გამარჯვებული, მედლებით მკერდ დამშვენებული გეველოს და ასეთი წარმატებული სპორტსმენები აღეზარდოს ჩვენს ქალაქს.

რამაზ ლაგვილავა
ფოთის სახელმწიფო თეატრის თანამშომელი

„მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა"

მზია მარშანია-გვიჩიას ხსოვნას

ბოლო დროს სიკვდილი ისე შემოგვეჩვია, ისე მოულოდნელად გვართმევს ახლობელ ადამიანებს, მათთან ყოფნის ბედნიერებას, მხიარულ დღეებს, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებ. ასე გვეცლებიან ხელიდან დები, ძმები, მშობლები, მეუღლეები, ახლობლები და მეგობრები. ბევრი ტკივილი აგემა ცხოვრებამ აფხაზეთიდან დევნილ ბატონ **გიგლა გვიჩიას** ახლახან მეუღლე გარდაეცვალა, ქალბატონი **მზია მარშანია**, ცხოვრების თანამგზავრი და თანამოაზრე,. ოჯახის დედაბოძი.

არ იყო იოლი მშობლიური კუთხის დატოვება, მეგობრებთან და ახლობლებთან დაშორება. წინაპართა საფლავების მიტოვება, საფლავებისა, საიდანაც იწყება სამშობლოს განცდა.

მავანთა ღალატმა და დაუნდობლობამ დაანგრია ეს იდილია, ოჯახის ფუძე მოიშალა და თავიდან მოუხდათ ცხოვრების დაწყება. ბევრი იშრომეს, რათა ოჯახი ფეხზე დაეყენებინათ, სასახელო შვილები აღუზარდეს ქვეყანას - დავითი და გიორგი, რძალი ანჟელა ვლასენკო - გვიჩია შვილების, ცოტნესა და მარიამის კარგი აღზრით ახარებს ოჯახს. ახლა უნდა ეხარა თავისი ნაამაგარით ქალბატონ მზიას. შვილიშვილები ხომ ახალი სიცოცხლის დასაწყისია... რომლითაც ხარობდა კიდეც. დასანანია - სიყვარულის ძაფი გაწყდა, წავიდა კარგი მეუღლე, დედა, ბებია. მეზობელი, მეგობარი და ახლობელი. უკვე ფოთელი, ჩვენი თანაქალაქელი, მისი ცხოვრების თანამოზიარე.

წავიდა ვალმოხდილი და ბევრი ტკივილი მიყვება ენგურსგაღმა დარჩენილი მშობლიური მიწისა. ფიქრით, ოცნებით ბევრჯერ გადაულახავს ეს საზღვარი, „ზღვა, რომელიც შორია".

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ფაზისის მიწა, სული კი უფალს ებარებოდეს.

მეუღლის მეგობრები

გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქ. ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს მდივნის, ბატონ გიგლა გვიჩიას მეუღლის

მზია მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვიზიარებ ინგა და ზურაბ აბრალავების მწუხარებას, დის

დალი აბრალავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

ბადრი ბასილაია

ქ. ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს წევრები თანაუგრძნობენ გიგლა გვიჩიას მეუღლის,

მზია მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იამზე და ჯემალ გურგენაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გიგლა გვიჩიას მეუღლის

მზია მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მზია და ჟერონი შუბითიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გიგლა გვიჩიას მეუღლის

მზია მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაცხადება:
იყიდება: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის: იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.
თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.
ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა